საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. 1960 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10) დაემატოს შემდეგი შინაარსის 66^1 მუხლი.

„მუხლი 66^1. დაქირავებული პირის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში

დაქირავებული პირის მონაწილეობა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში მატერიალური გასამრჯელოს, რაიმე გამორჩენის მიღების მიზნით, ან ასეთი მონაწილეობა სხვა ქვენაგრძნობით, თუ ეს პირი არ არის ამ ქვეყნის მოქალაქე ან არ ცხოვრობს მის ტერიტორიაზე მუდმივად და არა აქვს უფლებამოსილება ოფიციალური მოვალეობების შესასრულებლად იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც არ მონაწილეობს შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე .

იგივე მოქმედება თუ მას მოჰყვა განსაკუთრებით დიდი ზარალი ან სხვა მძიმე შეგედი, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება, თუ მას მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი,–

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ან ისჯება სიკვდილით“.

2. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –

სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის

სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 17 მარტი.